ოქმი:**ო37. 3723300001**
თარიღი:**27/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მარიკა ჩხიკვიშვილის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი, 24 ოქტომბერი
სოფ.დვაბზუ
16:00-17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ მ. ჩხიკვიშვილი არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის,გამორჩეულად აქტიური წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, მ. ჩხიკვიშვილმა საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ასევე მოქალაქეებთან შეხვედრების დროს წამოჭრილ პრიორიტეტებსა და სტატისტიკურ მონაცემებზე. მარიკა ჩხიკვიშვილმა ყურადღება გაამახვილა საანგარიშო პერიოდში სოფლებში მიმდინარე და განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.დეტალურად ჩამოაყალიბა მის სამაჟორო ოლქში განხორციელებული სამუშაოების სტატისტიკა.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ

ანგარიშს. აღნიშნეს, რომ მ. ჩხიკვიშვილი არის საკრებულოს აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, მადლობა გადაუხადეს გაწეული შრომისთვის და წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. მარიკა ჩხიკვიშვილმა მადლობა გადაუხადაა ამომრჩევლებს, კოლეგებს და დამსწრე საზოგადოებას მისი გვერდში დგომისთვის, აღნიშნა, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვს და თავს არ დაზოგავს დანაპირების შესრულებისთვის.ა ნგარიშის დასრულების შემდეგ უპასუხა დამსწრე საზოგადოების შეკითხვებს.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია. აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობდა რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, მარიკა ჩხიკვიშვილის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი